ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1221711

ნომერი: AR1209793

თარიღი : 07.04.2014

გაცემის თარიღი : 14.04.2014

გაცნობის თარიღი : 16.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაისურაძე , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჯობავა პ/ნ 62006030542
- გალი სოფ. 1-გალი

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 04.04.2014 წლის AR1209793 განცხადება, რომლითაც ითხოვთ, ქალაქგეგმარებით დასკვნას იმის თაობაზე, რომ თქვენს მიერ ინტერაქტიულ რუკაზე მონიშნული ტერიტორია ჩაითვალოს საზოგადოებრივ სივრცედ და წარმოდგენილი გრაფიკული მასალის შესაბამისად თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან მოეწყოს მისასვლელი საავტომობილო გზა. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:

დღეის მდგომარეობით, თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს, ბუფერს არსებულ სასაფლაოსა და მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს შორის. რომელზეც დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა.

დამატებით მოგახსენებთ, რომ მოცემულ ზონაში დასაშვებია გზების მოწყობა. თუმცა იმ შემთხვევაში თუ გსურთ აღნიშნული საავტომობილო გზის მოასფალტება,საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.